შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N35030308/1/დ-1

2015 წლის 16 სექტემბერს N35030308/1/დ ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ

„10“ „12“ „2015“ წ.

ქ. თბილისი

ერთი მხრივ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, თამაზ მოდებაძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, შპს „რეგიონური ჯანდაცვის ცენტრი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუგზარ ბოლქვაძის სახით (შემგომში წოდებული - „მხარეებად“), ვხელმძღვანელობთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „სპეციდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებებისათვის სპეცდაფინანსების დამატების ან სამედიცინო მომსახურების გამწევი სხვა დაწესებულებებისათვის/ფიზიკური პირებისათვის სპეცდაფინანსების საჭიროების, ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 აგვისტოს N01–200/ო ბრძანების (ასევე, მასში შეტანილი ცვლილებების) მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მიმწოდებლის“ 2015 წლის 30 ნოემბრის (N531; N117854) წერილის საფუძველზე, მხარეთა შორის 2015 წლის 16 სექტემბერს გაფორმებული N35030308/1/დ ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება“) მე–8 მუხლის გათვალისწინებით, ვთანხმდებით ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანაზე და ამ მიზნით:

1. ხელშეკრულების მე–4 მუხლის 4.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 62 734.78 (სამოცდაორი ათას შვიდას ოცდათოთხმეტი ლარი 78 თეთრი) ლარს“.

2. ხელშეკრულების N1 დანართი შეიცვალოს წინამდებარე შეთანხმების დანართით.

3. ხელშეკრულების ის პუნქტები, რომელთაც არ შეხებია შეთანხმება, უცვლელი რჩება.

4. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6. შეთანხმება მოქმედებს მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

7. შეთანხმების ორი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ხოლო ორი _ „შემსყიდველთან“.

**„შემსყიდველი“**

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144,
საიდენტიფიკაციო კოდი №202178927

თამაზ მოდებაძე
დირექტორის მოადგილე

**„მიმწოდებელი“**

შპს „რეგიონური ჯანდაცვის ცენტრი“
მისამართი: ქ.თბილისი, ჯავახიშვილის №51
ს/ს ლიბერთი ბანკი, ს/კ №236035517
ა/ა №GE86LB0113112241617000

ნუგზარ ბოლქვაძე
დირექტორი

ვიზირებულია: ლ. მამულაშვილი

კ. ჩხარტიშვილი

ზ. დათუკიშვილი

მ. ქიმერიძე

ა. ვასაძე

დანართი N1

| N | მუნიციპალიტეტი | თანხა (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | ონი | 7405.08 |
| 2 | ცაგერი | 10759.69 |
| 3 | მესტია | 20939.7 |
| 4 | წალკა | 10087.91 |
| 5 | ბაკურიანი | 4542.4 |
| 6 | ყაზბეგი | 9000 |
| 7 | *ჯამი:* | 62734.78 |

„შემსყიდველი“

თამაზ მოდებაძე

დირექტორის მოადგილე

LEPL "SOCIAL SERVICE AGENCY" 202178927

„მიმწოდებელი“

ნუგზარ ბოლქვაძე

დირექტორი

236035517